1980
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს

# უწყებანი

№ 9 (477)

1980 წლის სექტემბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

№ 9 (477) სექტემბერი 1980 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

273. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რესპუბლიკაში წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.

274. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ადვოკატურის შესახებ დებულების პროექტის თაობაზე.

275. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე 1981-85 წლებში განსახილველი საკითხების შესახებ.

### განყოფილება მეორე

276. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

277. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

278. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების X რესპუბლიკური ოლიმპიადის მონაწილეებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

279 ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქართული საბჭოთა კინოხელოვნების მოღვაწეებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

280. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ა. სუდაკოვისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

281. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ურეკის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

282. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სისტემის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული მეტყევის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

283. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ტ. ჯალაღანიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

284. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ბ. მამალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

285. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ა. ხვარწკიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

286. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ნ. ენუქიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საინფორმაციო ცნობები.

ცვლილებები ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 273 საქართველოს სს რესპუბლიკაში წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სს რესპუბლიკაში წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების შესახებ.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1980 წლის 16 სექტემბერი.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის 1980 წლის 16 სექ-
ტემბრის ბრძანებულებით

## დებულება

### საქართველოს სს რესპუბლიკაში წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების შესახებ

სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა მოითხოვს სამართალდარღვევათა აღმოფხვრის საქმეში საზოგადოებრიობის ფართოდ ჩაბმას, მისი აქტივობის გაძლიერებას. დიდი როლი ეკუთვნით ამ ამოცანების განხორციელებაში წესრიგის დაცვის საზოგადოებრივ პუნქტებს.

მშრომელთა ინიციატივით შექმნილი წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტები ხელს უწყობენ საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებისა და შრომითი კოლექტივების ღონისძიებათა გაერთიანებას სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის, შეგნებული დისციპლინის, კანონების განუხრელი დაცვისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით საბჭოთა ადამიანების აღზრდისათვის მუშაობაში, ქმნიან პირობებს იმისათვის, რომ მოქალაქეებმა შეასრულონ სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით განმტკიცებული მოვალეობანი — შეურიგებელნი იყვნენ ანტისაზოგადოებრივი მოქმედებისადმი, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

#### I. ზოგადი დებულებანი

1. წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტები იქმნება იმისათვის, რომ გააერთიანონ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების შტაბების, ამხანაგური

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლოების, სახლის (ქუჩის, უბნის, სოფლის) კომიტეტების, არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივი ინსპექციების, საზოგადოებრივი თვითმოქმედების სხვა ორგანოებისა და შრომითი კოლექტივების ღონისძიებანი მათთვის მიჩენილ ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისათვის მუშაობაში, გააუმჯობესონ მათი ურთიერთმოქმედება სახელმწიფო ორგანიზაციებთან.

2. წესრიგის დაცვის საზოგადოებრივ პუნქტში წარმოდგენილი საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებისა და შრომითი კოლექტივების შეთანხმებული საქმიანობის უზრუნველსაყოფად იქმნება წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტის საბჭო 9-15 კაცის შემადგენლობით.

3. წესრიგის დაცვის საზოგადოებრივ პუნქტში წარმოდგენილი საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოები ინარჩუნებენ თავიანთ ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას, მოქმედებენ რა დაწესებული კომპეტენციის ფარგლებში.

4. მილიციის უბნის ინსპექტორთა და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენელთა სამსახურებრივი მოვალეობანი წესრიგის დაცვის საზოგადოებრივ პუნქტში მუშაობასთან დაკავშირებით განისაზღვრება შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

5. სახელმწიფო ორგანოები და თანამდებობის პირები ყოველმხრივ ხელს უწყობენ და ეხმარებიან საზოგადოებრივი პუნქტების საბჭოებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისათვის მათს საქმიანობაში.

6. წესრიგის დაცვის საზოგადოებრივ პუნქტში იქმნება საჭირო პირობები, რათა მილიციის უბნის ინსპექტორებმა და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციათა თანამდებობის პირებმა შეასრულონ თავიანთი მოვალეობანი მართლწესრიგის განმტკიცების დარგში.

7. წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების საბჭოების მუშაობას ხელმძღვანელობენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (ქალაქებში, სადაც არ არის რაიონული დაყოფა), ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები ორგანიზაციას უწევენ და წარმართავენ წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების საბჭოების საქმიანობას; უზრუნველყოფენ მათს ურთიერთმოქმედებას სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებთან; წელიწადში ერთხელ მაინც ისმენენ ანგარიშებს საზოგადოებრივი პუნქტების საბჭოების მუშაობის შესახებ, აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ინფორმაციებს, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების საბჭოებისათვის დახმარების გაწევის საკითხებზე.

8. შინაგან საქმეთა ორგანოები უზრუნველყოფენ წესრიგის დაცვის საზოგადოებრივ პუნქტებს საინსტრუქციო-მეთოდიკური მასალებითა და იურიდიული ლიტერატურით, აძლევენ საზოგადოებრივი პუნქტების საბჭოებს მათი

პარლამენტის ბიბლიოთეკა



საქმიანობისათვის საჭირო ინფორმაციას მოცემული პუნქტისათვის მიჩენილ ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის მდგომარეობის შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის მოცულობასა და შინაარსს განსაზღვრავენ შინაგან საქმეთა შესაბამისი ორგანოების ხელმძღვანელები.

## II. წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტებისა და მათი საბჭოების შექმნა

9. გადაწყვეტილებებს წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების შექმნისა და გაუქმების შესახებ იღებენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (ქალაქებში, სადაც არ არის რაიონული დაყოფა), ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებისა და შრომითი კოლექტივების წინადადებით.

10. წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტები იქმნება ქალაქებში, როგორც წესი, საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების (სახლმმართველობების) ტერიტორიის ფარგლებში, ხოლო სოფლად — სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოების ან ცალკეული დასახლებული პუნქტების ტერიტორიის ფარგლებში.

11. წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტის საბჭო მტკიცდება სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით საბჭოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეებისა და წევრების შემადგენლობით იმ პირთაგან, რომლებიც რეკომენდებული არიან მოცემული საზოგადოებრივი პუნქტისათვის მიჩენილ ტერიტორიაზე წესრიგის დაცვასა და სამართალდარღვევებთან ბრძოლაში მონაწილე საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების, შრომითი კოლექტივების, აგრეთვე სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ. საბჭოს შემადგენლობაში რეკომენდაცია ეძლევათ შრომითი კოლექტივების, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების, სახალხო სასამართლოების, სახლის (ქუჩის, უბნის, სოფლის) კომიტეტების, არასრულწლოვანთა საქმეების საზოგადოებრივი ინსპექციების, საზოგადოებრივი თვითმოქმედების სხვა ორგანოების წარმომადგენლებს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ყველაზე აქტიურ მონაწილეებს ადგილობრივ მცხოვრებთაგან, აგრეთვე მილიციის უბნის ინსპექტორებსა და სხვა თანამდებობის პირებს.

## III. წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტის საბჭოს უფლებამოსილებანი და მისი საქმიანობის წესი

12. წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტის საბჭო, ხელმძღვანელობს რა მოქმედი კანონმდებლობით და ამ დებულებით:

სწავლობს საზოგადოებრივი პუნქტისათვის მიჩენილ ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის მდგომარეობას; შეიმუშავებს და წარუდგენს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და საზოგადოებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივი თვითმოქმედების ორგანოებს წინადადებებს მოცემულ ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის გაძლიერების და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საკითხებზე;

ხელს უწყობს საზოგადოებრივ პუნქტში წარმოდგენილი საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებისა და შრომითი კოლექტივების, აგრეთვე სახელმწიფო ორგანიზაციების თანამდებობის პირთა მუდმივი ურთიერთმოქმედების დამყარებასა და მუშაობის გამოცდილების გაზიარებას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისათვის;

ხელს უწყობს შინაგან საქმეთა შესაბამის ორგანოებს, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მეთაურებსა და შტაბებს საზოგადოებრივი პუნქტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფაში აბამს ამ საქმეში ადგილობრივ მცხოვრებლებს;

მონაწილეობს საზოგადოებრივი პუნქტისათვის მიჩენილ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას შორის სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდისათვის მუშაობაში. ამ მიზნით ხელს უწყობს საზოგადოება „ცოდნის" ლექტორთა, შინაგან საქმეთა, პროკურატურისა და სასამართლოს მუშაკთა გამოსვლების მოწყობას სამართლის თემებზე, იყენებს მუშაობის სხვა ფორმებს მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდისათვის.

ხელს უწყობს სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს იმ პირთა გამოვლენისათვის მუშაობაში, რომლებიც ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან, ეხმარება ამ პირებს სამუშაოდ ან სასწავლებლად მოწყობაში, ახორციელებს მათთან აღმზრდელობით მუშაობას; მობინადრეთა კრებებზე, წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტის საბჭოს სხდომებზე ორგანიზაციას უწევს გამოუსწორებელ მუქთახორათა საქციელის განხილვას.

ეხმარება სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში; მონაწილეობს ღონისძიებათა ჩატარებაში, რომლებიც დაკავშირებულია ანტიალკოჰოლურ პროპაგანდასთან, საზოგადოებრივი პუნქტის ტერიტორიაზე სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესების დაცვისადმი კონტროლთან, შინ გამოხდილი მაგარი სპირტიანი სასმელების უკანონოდ დამზადებისა და გასაღების შემთხვევების გამოვლენასთან. ეხმარება საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, შრომითს კოლექტივებსა და სამედიცინო დაწესებულებებს ქრონიკულ ალკოჰოლიკთა გამოვლენასა და დადგენილი წესით სამკურნალოდ გაგზავნაში;

კოორდინაციას უწევს საზოგადოებრივ პუნქტში წარმოდგენილი საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებისა და შრომითი კოლექტივების მუშაო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას სამართალდამრღვევებთან ინდივიდუალური აღმზრდელობითი მუშაობის განსახორციელებლად, მათდამი სახალხო რაზმელთა, შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა და ადგილობრივ მცხოვრებთა შეფობის დასაწესებლად; თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებული პირებისადმი ადმინისტრაციული ზედამხედველობის განხორციელებისათვის ცალკეულ ღონისძიებათა გატარებაში მილიციისათვის დახმარების გასაწევად. მობინადრეთა კრებებზე, წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტის საბჭოს სხდომებზე ორგანიზაციას უწევს საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევ და სხვა ანტისაზოგადოებრივი საქციელის ჩამდენ პირთა მოქმედების განხილვას, საჭირო შემთხვევებში უგზავნის მასალებს სამართალდამრღვევებზე შესაბამის სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ამხანაგურ სასამართლოებსა და სახლის (ქუჩის, უბნის, სოფლის) კომიტეტებს;

ხელს უწყობს სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ბავშვთა უმეთვალყურეობისა და არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში, ბავშვთა და მოზარდთა აღზრდაში. ამ მიზნით მონაწილეობს საზოგადოებრივ ადგილებში არასრულწლოვანთა ქცევისადმი ზედამხედველობის განხორციელებაში; განიხილავს იმ მშობელთა საქციელს, რომლებიც უარყოფით აღმზრდელობითს ზემოქმედებას ახდენენ ბავშვებზე, საჭირო შემთხვევებში აყენებს საკითხს შესაბამისი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე იმის შესახებ, რომ დააკისრონ ასეთ მშობლებს პასუხისმგებლობა დადგენილი წესით; შეაქვს წინადადებანი სამართალდამრღვევ ბავშვთა და მოზარდთა მიმართ შეფობის ორგანიზაციის შესახებ, ხელს უწყობს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ბავშვთა და მოზარდთა კულტურული დასვენების ორგანიზაციას; მონაწილეობს მშობელთა შორის პედაგოგიური ცოდნის პროპაგანდაში;

ეხმარება სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, სახლის (ქუჩის, უბნის, სოფლის) კომიტეტებს საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვის საკითხების განსახილველად მცხოვრებთა კრებების (ყრილობების) ჩატარებაში;

აწყობს საზოგადოებრივ პუნქტში საბჭოს წევრთა მორიგეობას მასში წარმოდგენილი საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების, შრომითი კოლექტივებისა და სახელმწიფო ორგანიზაციების თანამდებობის პირთა ურთიერთმოქმედების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევების შესახებ მოქალაქეთა განცხადებებსა და შეტყობინებებზე შესაბამისი ზომების მისაღებად;

ისმენს საბჭოს წევრთა ინფორმაციებს მათთვის დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების და საზოგადოებრივი წესრიგის განსამტკიცებლად და სამარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თალდარღვევათა პროფილაქტიკისათვის საბჭოს მიერ დასახულ ღონისძიებათა შესრულების შესახებ;

შუამდგომლობს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წინაშე იმის შესახებ, რომ წაახალისონ მოქალაქენი, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტის ტერიტორიაზე.

13. წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტის საბჭო მისი კომპეტენციისათვის განკუთვნილ საკითხებს განიხილავს თავის სხდომებზე. საბჭოს სხდომები ეწყობა საჭიროებისდა მიხედვით, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც.

საბჭოს სხდომებში მონაწილეობა შეუძლიათ სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც არ შედიან მის შემადგენლობაში.

14. წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტის საბჭოს მუშაობა იგეგმება. სამუშაო გეგმები მტკიცდება საბჭოს სხდომაზე.

15. საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომის მუშაობაში მონაწილეობს საბჭოს წევრთა ორი მესამედი მაინც. გადაწყვეტილება მიიღება სხდომაში მონაწილე საბჭოს წევრთა ხმის უმრავლესობით.

საბჭოს გადაწყვეტილებები სარეკომენდაციო ხასიათისაა.

## IV. წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

16. წესრიგის დაცვის საზოგადოებრივ პუნქტებს საჭირო სადგომებით, სატელეფონო კავშირით, ავეჯით, ინვენტარითა და თვალსაჩინოებებით უზრუნველყოფენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები იმ საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან ერთად, რომელთა შრომითი კოლექტივები ეწევიან მუშაობას შესაბამისი საზოგადოებრივი პუნქტების ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 274 საქართველოს სსრ ადვოკატურის შესახებ დებულების პროექტის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ ადვოკატურის შესახებ დებულების პროექტი გადაეცეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კანონმდებლობისა და სოციალისტური კანონიერების საკითხების კომისიას.

2. მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კანონმდებლობისა და სოციალისტური კანონიერების საკითხების კომისიამ საქართველოს სსრ ადვოკატურის შესახებ დებულების პროექტი შეიტანოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 19 სექტემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 275 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე 1981-85 წლებში განსახილველი საკითხების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ 1981-85 წლებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად მომზადდეს შემდეგი საკითხები:

სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების განსახორციელებლად საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ;

საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ანგარიში საქართველოს სს რესპუბლიკაში გარემოს მდგომარეობისა და მისი დაცვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ;

„საქართველოს სს რესპუბლიკაში სამხრეთისა და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდების და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისა და მიწების გამოყენების გაუმჯობესებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის თაობაზე;

საცხოვრებელი სახლების, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის შესახებ სახელმწიფო საგეგმო დავალებათა შესრულებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საბჭოების მიერ საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის დარგში კანონმდებლობის დაცვაზე კონტროლის განხორციელების თაობაზე;

შრომისუნარიანი მოსახლეობის საზოგადოებრივ წარმოებაში სრულად ჩაბმისათვის, შრომითი დისციპლინის განმტკიცებისა და სახალხო მეურნეობაში კადრების დენადობის შემცირებისათვის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოხსენება „სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისა და მისი ხარისხის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 25 სექტემბერი.

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 276 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის" დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულთა გადარჩენის დროს გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით **„წყალწაღებულთა გადარჩენისათვის"** დაჯილდოვდნენ:

**ბეჟანიშვილი** რუსლან ასლანის ძე — წყალში მაშველი საზოგადოების თბილისის კიროვის რაიონული საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

**ჯერანაშვილი** ვაჟა სანდროს ძე — დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ელექტრომემდუღებელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 25 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 277 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ

**ხანძრის** ჩაქრობის დროს მამაცობისა **და** თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მახარაძის **რაიონის** სოფელ შემოქმედის ჩაის ფაბრიკის ბრიგადირი ამხ. მერაბ ნოეს ძე **დუმბაძე** დაჯილდოვდეს მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის"**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 25 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 278 მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების X რესპუბლიკური ოლიმპიადის მონაწილეებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების X რესპუბლიკურ ოლიმპიადაში აქტიური მონაწილეობისათვის, მხატვრული თვითმოქმედების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი"**

**ლომთათიძეს** მურმან ალექსანდრეს ძეს — საქართველოს პროფკავშირთა კულტურის სასახლის მთავარ ქორეოგრაფს, თვითმოქმედ ანსამბლ „თბილისის" სამხატვრო ხელმძღვანელს.

**ჯაფარიძეს** გიგა შალვას ძეს — ონის კულტურის რაიონული სახლის სახალხო თეატრის რეჟისორს.

**„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე"**

**ბახტაძეს** გივი ილიას ძეს — ტყიბულის მეშახტეთა კულტურის სახლის აკადემიური გუნდის დირიჟორს.

**ხვანიძეს** ბესარიონ ანტიპოს ძეს — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ხალხური ქორეოგრაფიული ანსამბლ „გორდას" ხელმძღვანელს.

**კუბლაშვილს** იუზა დავითის ძეს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ვაჟთა კაპელის დირიჟორს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი"**

**დადიანს** ნინო დავითის ასულს — ი. ჟვანიას სახელობის მედიცინის მუშაკთა კულტურის სახლის სოლისტს, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის უფროს ექიმ-ლაბორანტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჩიქოვანს** ზურაბ გრიგოლის ძეს — ი. ჭავჭავაძის სახელობის მედიცინის მუშაკთა კულტურის სახლთან არსებული საოჯახო ვოკალური ჯგუფის ხელმძღვანელს, ქ. თბილისის მთავარ ფსიქიატრს.

**ხუდავერდოვს** ენვერ ჰუსეინის ძეს — საქართველოს კომკავშირის სახელობის კულტურის სახლის აზერბაიჯანული ანსამბლ „სევინჯის" ხელმძღვანელს.

**„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი"**

**ალთუნაშვილს** შოთა რევაზის ძეს — ახალციხის კულტურის რაიონული სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის დირიჟორს.

**ბოჭორიშვილს** მარგო არქიპოს ასულს — ქუთაისის მაუდის ფაბრიკის კლუბთან არსებული სახალხო თეატრის მსახიობს, მქსოველს.

**გასანოვს** ჰუსეინ ყურბან ოღლის — აშუღს — აზერბაიჯანული ხალხური სიმღერების შემსრულებელს, ბოლნისის კულტურის სახლის მესაზეთა თვითმოქმედი ანსამბლის ხელმძღვანელს.

**დეისაძეს** ვიქტორ ნიკიფორეს ძეს — ტყიბულის მეშახტეთა კულტურის სასახლის თეატრის მსახიობს, პენსიონერს.

**ებანოიძეს** ნოე გიორგის ძეს — გაგრის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის კულტურის სახლის დირექტორს.

**ვაშალომიძეს** ვარლამ მიხეილის ძეს — მახარაძის კულტურის რაიონული სახლის გუნდის ხელმძღვანელსა და სოლისტს.

**თოდაძეს** პავლე ვიქტორის ძეს — ტყიბულის მეშახტეთა კულტურის სასახლის თეატრის მსახიობს, პენსიონერს.

**თორდიას** ზაურ ტერენტის ძეს — აბაშის კულტურის რაიონული სახლის დირექტორს, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის სოლისტსა და ქორეოგრაფს.

**კუპატაძეს** როსაპ გიორგის ძეს — გურჯაანის რაიონის წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კულტურის სახლის დირექტორს.

**ლაფაჩს** აკაკი ანდრიას ძეს — თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კულტურის სახლის სახალხო თეატრის მსახიობს.

**ლაცაბიძეს** გივი კონსტანტინეს ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის რკინიგზელთა კულტურის სახლის ქორეოგრაფს.

**მათიაშვილს** ილია გიორგის ძეს — მ. გორკის სახელობის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელს.

**მენაბდეს** დურმიშხან კონსტანტინეს ძეს — წულუკიძის კულტურის რაიონული სახლის დირექტორს.

**მთვარიძეს** ვასილ სიმონის ძეს — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა სამმართველოს საკლუბო მუშაობისა და ხალხური შემოქმედების განყოფილების გამგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მურუსიძეს** ჯემალ სევერიანის ძეს—საქართველოს კომკავშირის სახელობის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელს, ქორეოგრაფიული ანსამბლ „სალაღობოს" ხელმძღვანელს.

**ნინუას** ზურაბ ვასილის ძეს — თბილისის საწარმოო გაერთიანება „თბილრძის" აგიტბრიგადის რეჟისორს.

**ტაბიძეს** ავთანდილ აკაკის ძეს — საქართველოს პროფსაბჭოს პროფკურსების დირექტორს.

**ფაჩულიას** ლეონიდ იაკობის ძეს — თერჯოლის კულტურის რაიონული სახლის ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის დირიჟორს.

**ქოქიაშვილს** გელა გიორგის ძეს — ხელოვნების მუშაკთა რესპუბლიკური სახლის სოლისტს.

**ჩაჩანიძეს** დავით იოსების ძეს — მ. გორკის სახელობის კულტურის სახლის სახალხო თეატრის მსახიობს, პერსონალურ პენსიონერს.

### „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი"

**გაბაშვილს** გურამ ზაალის ძეს — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განყოფილების გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 1 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 279 ქართული საბჭოთა კინოხელოვნების მოღვაწეებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის, კინემატოგრაფისტის სრულიად საკავშირო დღესთან დაკავშირებით ქართული საბჭოთა კინოხელოვნების მოღვაწეებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

### „საქართველოს სსრ სახალხო არტისტი"

**კალატოზიშვილს** გიორგი მიხეილის ძეს — კინოსტუდია „მოსფილმის" დამდგმელ-რეჟისორს.

**კიკაბიძეს** ვახტანგ მიხეილის ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის" მსახიობს.

**ხოტივარს** ლევან იოსების ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის" დამდგმელ-რეჟისორს.

### „საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი"

**ლებანიძეს** ქრისტესია ივანეს ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის" დამდგმელ-მხატვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“**

**აბაშიძეს** დევი კონსტანტინეს ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დამდგმელ-რეჟისორს.

**გაბესკირიას** გურამ (გიზო) შალვას ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დამდგმელ-რეჟისორს.

**ესაძეს** რეზო პარმენის ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დამდგმელ-რეჟისორს.

**მანაგაძეს** ნოდარ შოთას ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დამდგმელ-რეჟისორს.

**ნინუას** ალექსანდრე ივანეს ძეს — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ტელეფილმების სტუდიის რეჟისორს.

**სიხარულიძეს** ლერი კარლოს ძეს — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ტელეფილმების სტუდიის რეჟისორს.

**შონიას** შერგილ ასლანის ძეს — სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის რეჟისორს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“**

**ლორთქიფანიძეს** გურამ კონსტანტინეს ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობს.

**ხიზანიშვილს** ირაკლი ივანეს ძეს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხჰალტერი“**

**მილაძეს** ნინო ისაკის ასულს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ უფროს ბუხჰალტერს.

**ჯანიაშვილს** ნინო ზაქარიას ასულს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მოანგარიშე-ბუხჰალტერს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“**

საგეგმო განყოფილების უფროსის მოადგილეს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“**

**კოტრიკაძეს** რევაზ სერგის ძეს — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კინოფიკაციის სამმართველოს უფროსის მოადგილესა და მთავარ ინჟინერს.

**ტიმჩენკოს** იზაბელა ნიკოლოზის ასულს — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ინჟინერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“

**გუდაძეს** ზურაბ ალექსანდრეს ძეს — საჩხერის რაიონული კინოქსელის დირექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1980 წლის 1 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 280 ამხ. ვ. ა. სუდაკოვისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მუსიკალური ხელოვნების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, ქართული და აფხაზური ეროვნული მუსიკის პროპაგანდის საქმეში დამსახურებისათვის ამხ. ვადიმ ანატოლის ძე **სუდაკოვს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1980 წლის 1 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 281 ურეკის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ურეკის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი“

**გეგეშიძეს** ეთერ არქიპოს ასულს — საბჭოთა მეურნეობის აგრონომს.

„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი“

**დოლიძეს** გერმანე აპოლონის ძეს — საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1980 წლის 9 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 282 საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სისტემის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული მეტყევის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის განვითარების საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული მეტყევე"** საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს სისტემის მუშაკებს:

**კანდელაკს** თენგიზ ავთანდილის ძეს — თელავის სატყეო მეურნეობის დირექტორს.

**კვეკვესკირს** ალექსანდრე ჯოღოს ძეს — ოჩამჩირის სატყეო მეურნეობის გალის სატყეოს უფროსს.

**ოქროპირიძეს** ნათელა გიორგის ასულს — მცხეთის სატყეოს ტყის კულტურების ინჟინერს.

**ქლიბაძეს** გრიგოლ ალექსანდრეს ძეს — ქუთაისის სატყეო მეურნეობის ოქროპირის სატყეოს უფროსს.

**ჩერქეზიშვილს** ტრისტან ზაქარიას ძეს — საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ტყეთმოწყობისა და ტყით სარგებლობის სამმართველოს ტყის გაშენების განყოფილების გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 19 სექტემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 283 ამხ. ვ. ტ. ჯალაღანიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პრესაში ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის" პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ვაჟა ტრიფონის ძე **ჯალაღანია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 1 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 284 ამხ. ი. ზ. მამალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ენერგეტიკის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათი წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი საწარმოო სამმართველოს „საქენერგოპროექტის" დირექტორი ამხ. ილია ზეგლარის ძე **მამალაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 9 სექტემბერი.

16564

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 285 ამხ. დ. ა. ხვარწკიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და სპორტულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. დიმიტრი ანდრიას ძე **ხვარწკია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 19 სექტემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 286 ამხ. გ. ნ. ენუქიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კომკავშირულ და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათი წელთან დაკავშირებით საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა №9

კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გურამ ნიკოლოზის ძე **ენუქიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 26 სექტემბერი.

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 25 სექტემბრის სხდომაზე მოსმენილ იქნა საკითხი თერჯოლისა და ლაგოდეხის რაიონების სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის შესახებ. აღინიშნა, რომ ისინი სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილებათა შესაბამისად გარკვეულ მუშაობას ეწევიან საგეგმო დავალებათა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. მათ ტერიტორიაზე განლაგებული წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისა და პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის; უფრო ღრმად და კონკრეტულად სწვდებიან ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხებს, სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე რეგულარულად ისმენენ სამეურნეო ორგანიზაციების ანგარიშებს საგეგმო დავალებათა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს შორის ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. აღნიშნულ რაიონებში სრულდება სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები, სამრეწველო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის ხუთწლიანი გეგმის დავალებები. კოლმეურნეობებში გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, კოლმეურნეთა რეალური შემოსავალი.

ამასთან თერჯოლისა და ლაგოდეხის რაიონების ადგილობრივ საბჭოებს მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი გააჩნიათ საგეგმო დავალებათა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის ორგანიზაციისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცების საქმეში. ბევრი მათგანი ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების შესრულებას. თერჯოლის რაიონში არ სრულდება ხილისა და მარცვლეულის დამზადების ხუთწლიანი გეგმები, ლაგოდეხის რაიონში — ეთერზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თების, მარცვლეულის, ყურძნის, ხილისა და კვერცხის დამზადების ხუთწლედის დავალებები.

ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში სათანადოდ ვერ იყენებენ არსებულ რეზერვებს. ბევრ კოლმეურნეობაში კვლავ დაბალია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, მაღალია წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება.

საბჭოები სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენენ კომუნალური მომსახურების, საყოფაცხოვრებო, სავაჭრო და სხვა საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებისადმი.

კვლავ სერიოზული ნაკლოვანებებია მოსახლეობის სოციალურ-კულტურული მომსახურების სფეროში, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში.

გაქტიურებას საჭიროებს ადგილობრივი საბჭოების მუშაობა მშრომელთა აღსაზრდელად, წარსულის მავნე გადმონაშთებისა და წეს-ჩვეულებათა დასაძლევად, სხვადასხვა სახის ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ საბრძოლველად.

სათანადო მუშაობა არ წარმოებს განაწესების, მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებისათვის ხელმძღვანელი მუშაკების პერსონალური პასუხისმგებლობის ასამაღლებლად. შეინიშნება მათ მიერ საშემსრულებლო დისციპლინის დარღვევის ფაქტებიც.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა სახალხო დეპუტატთა თერჯოლისა და ლაგოდეხის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეიმუშაონ და განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებას, საბჭოების საქმიანობის ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებას, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების შესრულებაზე კონტროლის გაძლიერებას; ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ განვითარებას. დასახონ ქმედითი ღონისძიებანი მატერიალური, საფინანსო, შრომითი და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებისათვის; უზრუნველყონ საკონტროლო საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე ქმედითი კონტროლის დაწესება; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საბჭოებისა და აღმასკომების გადაწყვეტილებათა მომზადების ხარისხს.

* *

სხდომაზე მოსმენილ იქნა შემდეგი საკითხები: „საგეგმო დავალებების, მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე კონტროლის გასაძლიერებლად და საშემსრულებლო დისციპლინის განსამტკიცებლად სომხეთის სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების თაობაზე; საქართველოს კომპარტიის ცენტრა-

№ 9
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზოგიერთი დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შემოწმების შესახებ; „საქართველოს სსრ ქალაქების ჰაერის აუზის გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 24 აგვისტოს დადგენილების შესასრულებლად თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და კასპის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ; საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე დეპუტატების მიერ შემოტანილი კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების სარეალიზაციოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ; „ცხინვალის სახალხო დეპუტატთა საქალაქო, მარნეულის, მახარაძისა და ცხინვალის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების მუშაობის შესახებ იმ პირთა შრომაში ჩასაბმელად, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 21 თებერვლის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე; „საქართველოს სსრ ტყის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 21 თებერვლის დადგენილების შესრულების თაობაზე; „რესპუბლიკაში მშრომელთა „შრომის ვეტერანის“ მედლით დაჯილდოების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 26 მარტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე სახალხო დეპუტატთა რუსთავისა და ზუგდიდის საქალაქო, ამბროლაურის, ბოგდანოვკისა და ლენტეხის რაიონული საბჭოების აღმასკომების ანგარიშის შესახებ; ა/კ რკინიგზის სამმართველოსა და საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში“ მოქალაქეთა მიღების და მათი წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 27 დეკემბრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ; „თიანეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ს. ა. გონჯილაშვილის მუშაობის სტილისა და მეთოდების შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს დადგენილების შესასრულებლად სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების თაობაზე; „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად ახალციხისა და თბილისის 26 კომისრის სახელობის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისა და მათთან არსებული კომისიების მუშაობის თაობაზე. და სხვ.

ყველა განხილულ საკითხზე მიღებულ იქნა სათანადო დადგენილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 25 სექტემბრის ბრძანებულებით „შრომის ვეტერანის“ მედლით დაჯილდოვდა 2387 კაცი:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისის კალინინის | რაიონიდან | 74 |
| ქ. თბილისის ლენინის | " | 139 |
| ქ. თბილისის ოქტომბრის | " | 115 |
| ქ. ქუთაისის ლენინის | " | 68 |
| ქ. ქუთაისის ავტოქარხნის | " | 40 |
| ქ. ზუგდიდიდან | | 20 |
| ქ. რუსთავიდან | | 273 |
| ქ. ტყიბულიდან | | 67 |
| ქ. ფოთიდან | | 25 |
| ამბროლაურის | რაიონიდან | 183 |
| ასპინძის | " | 109 |
| ახალქალაქის | | 98 |
| ბოგდანოვკის | " | 267 |
| ბოლნისის | " | 52 |
| ბორჯომის | " | 10 |
| გეგეჭკორის | " | 3 |
| დმანისის | " | 25 |
| დუშეთის | " | 25 |
| ვ ა ნ ი ს | " | 72 |
| ზუგდიდის | " | 138 |
| თეთრი წყაროს | " | 22 |
| ლაგოდეხის | " | 38 |
| ლენტეხის | " | 2 |
| მაიაკოვსკის | " | 36 |
| მცხეთის | " | 30 |
| ორჯონიკიძის | " | 114 |
| საჩხერის | " | 6 |
| ქარელის | " | 33 |
| ყაზბეგის | " | 125 |
| ცაგერის | " | 83 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| წალკის | რაიონიდან . . . | 12 |
| წითელწყაროს | „ . . . . | 46 |
| წულუკიძის | „ . . . | 37 |

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 30 სექტემბრის ბრძანებულებით „შრომის ვეტერანის" მედლით დაჯილდოვდა 2306 კაცი:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისის ლენინის | რაიონიდან . . | 208 |
| ქ. თბილისის ორჯონიკიძის | „ . . . . | 48 |
| ქ. ქუთაისის ლენინის | „ . . . . | 59 |
| ქ. ქუთაისის ავტოქარხნის | „ . . . . | 30 |
| ქ. ზუგდიდიდან | „ . . . . | 86 |
| ქ. რუსთავიდან | . . . . . . . . | 199 |
| ქ. ჭიათურიდან | . . . . . . . . . | 125 |
| ქ. წყალტუბოდან | . . . . . . . . . | 13 |
| აბაშის | რაიონიდან . . | 242 |
| ამბროლაურის | „ . . . . | 3 |
| ასპინძის | „ . . . . | 19 |
| ახალციხის | „ . . . . | 61 |
| ახალქალაქის | „ . . . . | 348 |
| ბოლნისის | „ . . . . | 24 |
| ბოგდანოვკის | „ . . . . | 139 |
| გარდაბნის | „ . . . . | 15 |
| ზესტაფონის | „ . . . . | 32 |
| ლანჩხუთის | „ . . . . | 57 |
| ლენტეხის | „ . . . . | 5 |
| მარნეულის | „ . . . . | 4 |
| მახარაძის | „ . . . . | 73 |
| მცხეთის | „ . . . . | 14 |
| მაიაკოვსკის | „ . . . . | 27 |
| საჩხერის | „ . . . . | 11 |
| ყვარლის | „ . . . . | 53 |
| ჩოხატაურის | „ . . . . | 67 |
| ჩხოროწყუს | „ . . . . | 64 |
| ცაგერის | „ . . . . | 9 |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| ცხაკაიას | რაიონიდან . . . . | 34 |
| წალკის | „ . . . . | 34 |
| წალენჯიხის | „ . . . . | 23 |
| ხაშურის | „ . . . . | 183 |

## ცვლილებები ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 11 სექტემბრის ბრძანებულებით აღდგენილ იქნა სოფელი გოსტიბე და ადმინისტრაციულად დაექვემდებარა კასპის რაიონის ახალქალაქის სასოფლო საბჭოს.